პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 2 (18544) სამშაბათი, 4 იანვარი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საფლეისო ამოცანა:

სუთნლედის შუაგული წლის პირველი დღეებიდანვე — რიცმული ტემპი!

1983 წელს — ჩვენი შემართება!

ეოთხე დღეა, რაც მობრძანდა 1983 წელი და ტრადიციულად სიხარული, ბედნიერება და წლის სტრატეგიული შემოქმედებითი შრომის კარგი ტემპი დაგვიკავება. რუსპუბლიკის ახალი წლის კალენდარში თავიანთი ნარმატება ჩაწერეს რუსთაველმა მეტალურგებმა, რომლებმაც ქვეყანას მისცეს ათეულ ტონრნით ფოლადი და ნაგლინი. რამდენიმე ზეგეგმითი ეშელონი მანგანუმი და ქვანახშირი გაუგზავნეს სამრეწველო სანარმოებს ჭიათურის მაღაროელებმა, ტყიბულელმა თუ ტყვარჩელელმა მეშახტეებმა. მძიმეტვირთნილი მატარებლები გაატარეს რკინიგზელებმა, სხვადასხვა დანიშნულების სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს სხვა სახეობის ტრანსპორტელებმა.

სამი იანვრიდან კი 1983 წლის შრომითის ფერხულში ჩაებნენ რესპუბლიკის კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, სხვა წარმოება-დაწესებულებების მშრომელები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერთანამშრომლები. ერთი სიტყვით, შრომითი საქმეებით დუღს ახალი წლის პირველი დღეები.

მაგრამ მთავარი, რაც ახალმა წელმა მოგვიტანა, ეს არის მტკიცე რწმენა იმისა, რომ ჩვენი ხალხი, ერთსულოვნად დარაზმული ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ყველაფერს იღონებს, რათა უთუოდ აღასრულოს ის მითითებანი და რეკომენდაციები, რომლებიც მიმდინარე სამეურნეო წელს დაგვისახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმებმა. ეს რწმენა განმტკიცებულია ღრმა მეცნიერულ საფუძველზე შემუშავებული სახალხო მეურნეობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის პროგრამით.

აი ზოგიერთი მონაცემი იმისა, თუ რას უნდა მივაღწიოთ 1983 წელს: ეროვნული შემოსავლის წარმოება მატერიალური წარმოების სფერში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გაიზრდება 3,4 პროცენტით, აქედან მრეწველობაში — 4 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 7,7 პროცენტით. ეკონომიკის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი — შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს. გათვალისწინებულია ეკონომიკის განვითარების ტემპის დაჩქარება. დიდი ყურადღება ეთმობა სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებას. მასშტაბურია რესპუბლიკის აღმშენებლობის 1983 წლის პროგრამა, რომლის შესახებაც ინფორმაციას დღეს გაზეთი გთავაზობთ.

ცხადია, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე წლეულს გეგმაში ნაგულისხმევია მნიშვნელოვანი დავალებანი მრავალი ახალი სახეობის პროდუქციის ათვისებისათვის, ფართო მოხმარების საგნების ასორტიმენტის განახლება-გაფართოებისათვის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის თანამედროვე ტექნოლოგიისა და სხვადასხვა ტექნიკურ-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებათა განხორციელება.

წლეულს კვლავ ყურადღების ცენტრშია საბჭოთა მშრომელი ადამიანი, მისი მატერიალური თუ საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი გაუმჯობესების საკითხები. მუშა-მოსამსახურეებს გაუდიდდებათ საშუალო თვიური ხელფასი, ხოლო კოლმეურნეებს შრომის ანაზღაურება. გაეზრდებათ სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს.

ჩვენს გეგმებში ცენტრალური ადგილი კვლავ ეთმობა იმ ღონისძიებათა უთუო განხორციელებას, რომლებიც სასურსათო პროგრამასთან არის დაკავშირებული.

ერთი სიტყვით, საქმენი და საზრუნავი მიმდინარე წლისათვის ნათელია. და როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ჩვენი ქვეყნის ხალხისადმი საახალწლო მილოცვაშია ნათქვამი, საბჭოთა ადამიანებმა ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებანი. წლეულს გველის დიდი ამოცანები, რომლებიც თითოეული საბჭოთა ადამიანისაგან დაძაბულ მუშაობას, მაღალ ორგანიზებულობას, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას მოითხოვს. და ამ ამოცანათა გადაწყვეტის ძალა შეგვნევს.

დიახ, საბჭოთა ხალხს არაერთხელ დაუმტკიცებია საქმით თავისი მამულის უსაზღვრო სიყვარული, ლენინური დიადი საქმეებისადმი ერთგულება, ამას, ბუნებრივია, სიამაყის გრძნობით გაეცსვა ხაზი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი გამარული საზეიმო სხდომაზეც.

საბჭოეთის დიდ ძმურ ოჯახში ნარმატებით იყენეს თავის შესაძლებლობებს ყველა ერი და ეროვნება. მათ შორის მოწინავეთა რიგებში არიან მზიური საქართველოს მშრომელები, რომლებიც ხელდამშვენებულნი შეეგებნენ ახალ წელს. შარშან რესპუბლიკის რუკაზე გაჩნდა ახალი სამრეწველო სანარმოების კორპუსები და საცხოვრებელი სახლები, მეცხოველეობის კომპლექსები და რკინიგზის ხაზები. მრავალსაუკუნოვანი, მაგრამ მარად ჭაბუკი თბილისის დროშაზე აკიაფდა დიდი ლენინის ორდენი, რესპუბლიკას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკპ ცენტრალური კომიტეტის ნითელი დროშა.

მაგრამ 1982 წელი იყო არა მარტო გამარჯვებათა წელი, არამედ დიდ ნინააღმდეგობათა დაძლევის, შეუფერებელი შეძლების წელი. ეს აღნიშნა 1982 წლის 31 დეკემბერს სახალგაზრდობასთან საახალწლო შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ნევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. ნაკლოვანებებთან ბრძოლაში, — თქვა მან, — ყალიბდებოდა, იწრთობოდა, იბრძმედებოდა კომუნისტების, რევოლუციისა და შრომის ვეტერანების გვერდით, ახალგაზრდობის სიმტკიცე და ნებისყოფა, მისი კომუნისტური ხასიათი და რევოლუციური შემართება... შარშან შექმნილ დოვლათში განივთებულია ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი მშრომელი ახალგაზრდობის შემოქმედებითი ენერგია.

ბევრ კარგს და სანაქებოს მივაღწიეთ შარშან, მიღწეულს კი განმტკიცება უნდა. წლეულს ჩვენი წარმატებული მუშაობა ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მონოდებული არიან კარგად განჭვრიტონ ისინი, ამთავითვე გაამახვილონ შრომითი კოლექტივების ყურადღება საკვანძო მიმართულებებზე, ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი ახალს, მოწინავეს, ფართოდ დანერგონ ნოვატორთა და მოწინავეთა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მდიდარი გამოცდილება. რა თქმა უნდა, კვლავ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება ადამიანთა აქტიურობის განვითარება, ისე რომ თითოეულმა იგრძნოს უდიდესი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, საწარმოებში ნისრიგისა და შრომის დისციპლინის განმტკიცება, რადგან ცხოვრების უბრალო ჭეშმარიტებაა: თუ გინდა რომ კარგად იცხოვრო, კარგად უნდა იშრომო. ეს კი ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონია, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციით არის განმტკიცებული: „სსრ კავშირის თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან“. ამიტომ ჩვენი ვალია შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ შრომის დისციპლინის დამრღვევებს, მივაღნიოთ იმას, რომ ბრიგადაში, საწარმოო უბანზე, საამქროში არ გვყავდეს ისეთი მუშა, რომელიც არ ასრულებდეს ყოველდღიურ ნორმას, უმიზეზოდ აცდენდეს სამუშაოს, რაციონალურად არ იყენებდეს სამუშაოსთვის გათვალისწინებულ ყოველ საათს, ყოველ წუთს!

ახლა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში დაინყო სოციალისტური შეჯიბრების ახალი ეტაპი დევიზით: „პატივი და დიდება — შრომის მიხედვით!“.

ეჭვგარეშეა, რომ შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის მოძრაობის წამომწყები მოსკოვის მოწინავე კოლექტივების ინიციატივის პასუხად საქართველოს მშრომელები გამოიჩენენ პოლიტიკურ სიმწიფეს, მაღალ აქტიურობას, პატრიოტულ მისწრაფებას — განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

მივაღწიოთ უფრო დამაჯერებელ შედეგებს

თბილისი. რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს — თბილისის კამბინატის კოლექტივი ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შრომითს ვახტზე და წარმატებებსაც აღწევს. ორ დღეში აქ 520 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა და გაეგზავნა კიდეც მომხმარებელს.

თავი ისახელეს მქსოველებმა ნ. რაიბულმა, ნ. პოსოლშვილმა, მრთველებმა რ. გალუბოვსკაიამ, მ. კეკენაძემ, ნ. ვიბლიანმა და სხვებმა. ისინი პირველნი გამოეხმაურნენ კომბინატში ქ. მოსკოვის სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგების თაოსნობას იშრომონ დევიზით: „პატივი და დიდება — შრომის მიხედვით“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე გადაწყვეტილებებმა, პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვის სიტყვიდან გამომდინარე მითითებებმა და დასკვნებმა ახლებური მუშაობისათვის, საქმისადმი, დაკისრებული მოვალეობისადმი ახლებური მიდგომით განაწყო კოლექტივი.

საწარმოს მშრომელები მზად არიან წლეულს შარშანდელზე უფრო დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიონ. შარშან სხვათა შორის აქ გეგმის გადამეტებით 2 მილიონი მანეთის პროდუქცია დამზადდა. სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვების დავალება კი 113 პროცენტით შესრულდა. („კომუნისტის“ კორ.).

ჩქაროსნული ნადნობით

რუსთავი. 1982-1983 — ასეთი დამღით აღინიშნა მილები, რომლებიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან ახალი წლის პირველ დღეს გაუგზავნათ ტიუმენის ნავთობმომპოვებლებს. მილები დამზადდა იმ ლითონით, რომელიც მარტენის ღუმლიდან ძველი და ახალი წლის მიჯნაზე „გადმოიღვარა“ და გაიგლინა.

პირველი იანვრის ღამეს შრომითს ვახტზე ღუმლებთან იდგნენ მეფოლადეები — სოციალისტური შრომის გმირი ო. ლომიძე, უ. ოვანიანოვი, დ. ფანჩვიძე, ო. წითლიძე, თ. სპანდერაშვილი და სხვები. მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის პირველი ნადნობი მხოლოდ ჩქაროსნული იყო.

ახალი წლის ღამეს მეტალურგებმა ზეგეგმითი ლითონის ანგარიშში დაგალების გადამეტებით 150 ტონა ფოლადი გამოუშვეს.

რუსთაველი მეტალურგები პირობას დებენ, რომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს არნახული შემართებით იშრომენენ, ყოველდღიურ მუშაობაში იხელმძღვანელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებებით, პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვიდან გამომდინარე მითითებითა და დასკვნებით, ამრავლებენ დოვლათს, განამტკიცებენ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინას. („კომუნისტის“ კორ.).

დისციპლინა — მთავარი ბერკეტი

ცხინვალი. რიტმულად იშრომა ახალი წლის პირველ სამუშაო დღეს სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა. დაგალება გადაჭარბებით შესრულდა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. ამას ხელი შეუწყო სოლიდურმა მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, ფილიალიც აქ ხუთწლედის მეორე წელს შეიქმნა. შარშან მკერავებმა გეგმის გადამეტებით ასეთასობით მანეთის პროდუქცია დაამზადეს და შეუფერხებლად მიაწოდეს მომხმარებელს.

მკერავებმა ნაწარმის ხარისხის გაუჯობესებისათვის ბრძოლაშიც საგრძნობი წარმატება მოიპოვეს. საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითობა წლიმა წარმოების საერთო მოცულობაში 26,4 პროცენტს მიაღწია. ფაბრიკაში ფართოდ ინერგება შრომის ანაზღაურების ბრიგადული ფორმა. ამ მეთოდით აქ დღეისათვის 10 ბრიგადა მუშაობს. მიმდინარე წლის დამლევამდე ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება. („კომუნისტის“ კორ.).

ასობით ტონა მადანი

ჭიათურა. „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა შრომას. ახალი წლის პირველ დღეს გეგმა პრაქტიკულად გაერთიანების ყველა საწარმოს კოლექტივმა შეასრულა. მრავალმა მთოგანმა დავალების გადამეტებით ასობით ტონა მადანი დაამზადა.

განსაკუთრებით კარგად იშრომა ზ. ა. პატარიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა. ეს მაღაროა დღეს ერთ-ერთი უმძლავრესი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საწარმოა. აქ მანგანუმის ამოღების შარშანდელი გეგმა ორი კვირით ადრე შესრულდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 4,8 პროცენტით გაიზარდა. თვითღირებულების შემცირებით სამთოელებმა 54.000 მანეთი დაზოგეს. („კომუნისტის“ კორ.).

„ცხინვალმშენის“ № 11 ტრესტის კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავე გახდა წარმატება ბევრად გაანაპირობა მუშაობის ბრიგადული ფორმის ფართოდ დანერგვამ. მოხკოველი მშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის ნ. ზლობინის კომპლექსური ბრიგადის მუშაობის მეთოდი კარგად აითვისა ამ ტრესტის იმ კოლექტივმა, რომელსაც სამხრეთ ოსეთის სოფლის საბჭოს დეპუტატი უაზბეგ კუდუხოვი ხელმძღვანელობს.

სურათზე: ერთიანი განაწესით მომუშავე ბრიგადის ხელმძღვანელი უაზბეგ კუდუხოვი.

ლ. გუსლოვის ფოტო.

საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა პრაღაში პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე

8 იანვარს მოსკოვიდან პრაღაში ვარშავის ხელშეკრულებით მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგ თათბირში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი.

ეკონომიურობზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ჰ. ა. ალიევმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. ი. პელშემ, კ. უ. ჩერნენკომ, პ. ნ. დემიჩევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, მ. ვ. ზიმიანინმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, ნ. ი. რიჟკოვმა, სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჩ. ლოვეტინსკი. (საკდესი).

დღესასწაულის აღსანიშნავად

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ფიდელ კასტრო რუსს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისა და ხალხის სახელით მხურვალედ, ძმურად მიესალმნენ და გულითადად მიულოცეს კუბის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — განთავისუფლების დღე. (საკდესი).

ჯილდოები გადაეცათ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა 31 დეკემბერს კრემლში ლენინის ორდენი გადასცა სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ჰალედ ბაგდაშს.

ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ეს საპატიო ჯილდო ჰ. ბაგდაშს მიენიჭა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში დამსახურებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

ჰ. ბაგდაშმა გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას საპატიო ჯილდოსათვის.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა კრემლში ხალხთა მეგობრობის ორდენები გადასცა სან-მარინოს კომპარტიის თავმჯდომარეს ერმენეჯილდო გასპერონისა და კომპარტიის გენერალურ მდივანს უმბერტო ბაროლს.

ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ სან-მარინოს კომუნისტური პარტიის შექმნის პირველი დღეებიდანვე მისმა ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტებთან ძმური ურთიერთობის განმტკიცებას. ჩვენი პარტიების ურთიერთობა, თქვა მან, ისევე როგორც ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და სხვა ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს შორის, დიდი იქნება ისინი თუ პატარა, ემყარება ინტერნაციონალური სოლიდარობის თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს. (საკდესი).

უმნიშვნელოვანესი
ობიექტები
ბაკურიანი
ბორჯომი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ნინოწმინდა
ალაზანი
ბაღდათი
ზესტაფონი
ონი
ამბროლაური
ცაგერი
ფოთი
ზუგდიდი
ჩოხატაური
ტყიბული
ოკრიბა
ქუთაისი
ხონი
ვანი
სამტრედია
ჭიათურა
ზესტაფონი
ბაღდათი
ფოთი
ზუგდიდი
ენგურჰესი
ენგური
ფოთი
ანაკლია
ფოთი
ანაკლია
ფოთი
ენგური
ზუგდიდი
ენგურჰესი
ენგური
ზუგდიდი
ენგურჰესი
ენგური
ზუგდიდი
ენგურჰეს

პარტიული ცხოვრება:

კონტროლი — ყოველმხრივი, ძმადითი

შარშანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო ადმინისტრაციის საქმიანობისა და აპარატის მუშაობისადმი კონტროლის განმახორციელებელი პირველადი პარტიული ორგანიზაციების კომისიების ანგარიშების მოსმენა, განხილვა და შეფასება.

ამან, ბუნებრივია, ხელი შეუწყო იმ არასასურველი ტენდენციის დაძლევას, რომელიც გამოიხატებოდა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე კომისიების მუშაობისათვის გვერდის ავლით.

ქვემოთ მოყვანილი ფაქტები ნათლად მეტყველებს, რომ კომუნისტები პრინციპულად აფასებდნენ კომისიების მუშაობას, აფასებდნენ არსებულ ნაკლოვანებებს, სახავდნენ მათი აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებს.

საკითხი სამინისტროს წინაშე

პარტიის კასპის რაიონულმა კომიტეტმა ანგარიშგება-არჩევნების დაწყების წინ მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის განმახორციელებელი კომისიების თავმჯდომარეების თათბირ-სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობდა რაიკომის პირველი მდივანი ვ. კვალიშვილი. სემინარის მონაწილეებს გადასცეს მეთოდიკური მასალები, დასახეს კომისიების შემადგენლობის გაუმჯობესების, მათი გააქტიურების ამოცანები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კრებებზე კომისიების ანგარიშების საქმიან განხილვას, მომავალი მუშაობის სრულყოფის გზების გამოძებნას.

მთავარი მიმართულებით

ონის რაიონული საავადმყოფოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლი ორმა პარტიულმა კომისიამ: დეფიციტური მედიკამენტების რაციონალური ხარჯვისა და შრომისუნაზარობის ფურცლების სწორად გაცემის კომისიებმა.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს კრებაზე კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ გ. გორგაძემ აღნიშნა, რომ ათობით შემოწმება მოეწყო ადგილობრივი კომუნისტებისა და სამმართველოს სპეციალისტების მონაწილეობით, გამოვლინდა მრავალი ნაკლი. მაგალითად, გაირკვა, რომ მთავარი ინჟინერი ი. შაგინიანი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. იგი არაერთხელ გაკიკრიტიკეს სხდომაზე, მაგრამ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა. კომისიისა და პარტიული ორგანიზაციის წინადადებით მისი ამ თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საკითხი დაისვა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინაშე.

ყოველმხრივი, ძმადითი შეფასება

რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კომუნისტებმა მკაცრად უსაყვედურეს კომისიის თავმჯდომარეს ლ. მარქარაშვილს იმის გამო, რომ იგი იჩენდა ლმობიერებას, ბოლომდე არ მიჰყავდა დაწყებული საქმე, მწკავედ არ აყენებდა საკითხებს პარტიული ნაკლოვანებებისა და საბჭოთა ორგანიზაციების ჩინაშე, რის გამოც პასუხსაგებ თანამდებობებზე კვლავ დარჩნენ ცალკეული უღირსი მუშაკები.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს კრებაზე კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ გ. გორგაძემ აღნიშნა, რომ ათობით შემოწმება მოეწყო ადგილობრივი კომუნისტებისა და სამმართველოს სპეციალისტების მონაწილეობით, გამოვლინდა მრავალი ნაკლი. მაგალითად, გაირკვა, რომ მთავარი ინჟინერი ი. შაგინიანი მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. იგი არაერთხელ გაკიკრიტიკეს სხდომაზე, მაგრამ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა. კომისიისა და პარტიული ორგანიზაციის წინადადებით მისი ამ თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ საკითხი დაისვა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წინაშე.

პარტიის ონის რაიონულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ განიხილა საკითხი რაიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის აპარატის მუშაობაში დაშვებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ. საკითხის განხილვას წინ უძღოდა სოციალური გამოკვლევა. კითხვაზე, თუ როგორია მკურნალობა და კვება რაიონულ საავადმყოფოში, 282 გამოკითხულიდან 120 უპასუხა: არ არის დამაკმაყოფილებელია.

აქ სსტემატურად ირღვეოდა საავადმყოფო ფურცლების, გაცემის წესი. მოქალაქეები პირდაპირ მიუთითებდნენ, რომ იყო ფულის გამოძალვის, მექრთამეობის შემდეგ. ასევე, არსებული ნაკლოვანებებისათვის დაისაჯნენ პარტიული ბიუროს ხელმძღვანელები, ხოლო თავადაი ექიმი შემდეგ გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრა და რაიკომის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლა დაისახეს მთავარ მიზნად ზემოაღნიშნულმა კომისიებმა. მთმა თავმჯდომარეებმა ლ. ბურდოლაძემ და მ. გორდეზიანმა საანგარიშო კრებაზე აღნიშნეს, რომ გეგმაზომიერად ეწყობოდა შემოწმებები, შედეგებს მოახსენებდნენ პარტბიუროს, აყენებდნენ საკითხებს ზემდგომი ორგანოების წინაშე. კერძოდ, შესაბამისმა კომისიამ აღმოაჩინა შრომისუუნაურობის ფურცლების უკანონოდ გაცემის ბევრი ფაქტი და ხელი შეუწყო ამ მნიშვნელოვან უბანზე სახელმწიფო წესრიგის განმტკიცებას.

ამასთან კამათში გამოსულმა კომუნისტებმა თქვეს, რომ კომისიების მუშაობაში იგრძნობა ფორმალიზმი, ხშირად მათ მიერ მოწყობილი შემოწმება ზედაპირული, ვერ აკლეს ნაკლოვანებათა მიზეზებს და ვერც სახავს მათი აღმოფხვრის გზებს. მაგალითად, შესაბამის კომისიას არ მიუთვლია დეფიციტური მედიკამენტების არარაციონალური ხარჯვის არც ერთი ფაქტი. როგორც ცენტრალური აფთიაქის მმართველმა ა. ჯრიელიშვილმა თქვა, ხშირად ავადმყოფი იძულებულია უშუალოდ მიმართოს აფთიაქს, მაშინ, როცა იგივე მედიკამენტით საავადმყოფო საჭირო რაოდენობით არის მომარაგებული.

კრებამ აირჩია კომისიების ახალი შემადგენლობა და დასახა მათი მუშაობის გააქტიურების ამოცანები.

შეფასდა პრადამაკმაყოფილებლად. რატომ?

ასპინძის რაიონის სოფელ ვარგავის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ვერ მოისმინა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიის ანგარიში. ანდა, რა უნდა მოესმინა, როცა კომისიის თავმჯდომარემ ს. შეშაბერიძემ ჩაშალა მუშაობა, თავად გამოიჩინა უდისციპლინობა და უპასუხისმგებლობა. იგი რამდენიმე თვეა თვითნებურად არის წასული რაიონის გარეთ სხვა სამუშაოზე და კრებას არც დასწრებია, ხოლო კომისიის დანარჩენმა ორმა წევრმა, ბუნებრივია, ვერაფერი თქვა გაწეულ საქმიანობაზე.

ისიც გაირკვა, რომ თავიდანვე არ განუსაზღვრავთ კონტროლის ზუსტი მმართველება, არ დაუსახავთ კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, სწორედ ამიტომ კომუნისტებმა კომისიის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს და აირჩიეს კომისიის სრულიად ახალი შემადგენლობა, რომელსაც დაეკალა საქმიანობის წარმართვა კრებაზე კოლმეურნეობის გამგეობის მისამართთან გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით.

ლ. ცაგარელი,
„კომუნისტის“ კორ.

საალალფლო შეგონებანი ახალგაზრდა თავმჯდომარეებს

მამაიაშვილების შრომისმოყვარეობა და დისციპლინა

ბივი მამაიაშვილი: განა კოლმეურნეს შინ პურის ცხობა, ძროხისა და ღორის მოვლა საკოლმეურნეო მუშაობაში ხელს არ შეუშლის?

ნიკო მამაიაშვილი: როცა მე მაგ აზრს ვიცავდი, მაშინ ეს საჭირო იყო. ახლა კოლმეურნეობაში შრომა უამრავმა მანქანებმა გააიოლა და შრომა არ გაჭირდება. ამასთან ახლა კოოპერირების წესები ბევრი სასიკეთოს ითვალისწინებს. მასწავლებელს, სოფლად სხვა მოსამსახურეს, ბავშვებიან ქალებს საშოალება აქვთ შინიდან გაფსვლელად საზოგადოებრივი მეურნეობის, ესე იგი კოლმეურნეობის საქმე აკეთონ. ამას რომ ვამბობ, ახლანდელმა თავმჯდომარეებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ კოოპერირებაში ჩაბმულ მშრომელებს ხელი მაქსიმალურად უნდა შეუწყონ. მთავარი კი საკვებია. ძალზე მტკივა გული, როცა გავიგებ ხოლმე — ამა და ამ კოლმეურნეობამ სიმინდის იმდენი მოსავალიც კი ვერ მიიღო, რამდენიც დათესაო: არადა, ერთხონბას სიმინდის უხვი მოსავალი ურწყავშიც კი მოგვყავდა...

კითხვა: როგორ ფიქრობთ, მცირე მოსავლიანობის მიზეზი რა არის? ახლა ხომ უფრო უკეთესი მანქანები და ტექნოლოგიური წესები გვაქვს.

ნიკო მამაიაშვილი: მცირე მოსავლიანობის მიზეზი დაუდევრობა და მცირე ანახლაურება, ძმანებისა და მიწის უყაირათო გამოყენებაა. ხომ ვთქვი, სიმინდის ნატურანაზღაურებაც უნდა შემოვიღოთ-შეთქი, ერთი სიტყვით, აბაშური მეთოდი აუცილებლად უნდა გადმოვიღოთ. რამდენადაც მეტ მარცვალს მისცემ მექანიზატორს, იმდენად კოლმეურნეობაც უფრო მეტ მარცვალსა და მწვანე მასას აწარმოებს. სიმინდი კი, მოგეხსენებათ, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის ძირითადია და მნუეე საკვებმა რძე და ხორცი უხვად იცის.

კითხვა: (ბივი მამაიაშვილს): თქვენ ძალზე ახალგაზრდა ხართ, ნიკოს თავმჯდომარეობის ბოლო წლებშიც კი, თუ არ ვცდები, რომ იტყვიან, მწკავნე ჯეელი იყავით, მაგრამ ისტორიიდან იცით საკოლმეურნეო საქონლობა; როგორ წარმოგიდგენიათ მაშინდელი თავმჯდომარე, როგორ მოიქცეოდა იგი მარცვლეულის წარმოების საკითხში და თვით თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

ბივი მამაიაშვილი: თუ როგორ მოიქცეოდა პატივცემული ნიკო ამ საქმეში, მან უკვე თქვა. დავუმატებ ერთს და, თუ სწორი დასკვნა გამოვიტანე, ვთხოვ პატივცემულ ნიკოს თქვას თავისი მოსაზრება, ან მირჩიოს რამე. ახლანდელი, როგორც ეურნალისტები ამბობენ ხოლმე — ოთხმოციანი წლების თავმჯდომარეს, რაკა თქმა უნდა, ცალ ხელში შაშხანა და მეორეში ნამგალი აიარ უჭირავს, მაგრამ ახლა იმდენი მიწის დასამუშავებელი მცენარის შესაწამლი, მოსავლის ასაღები და ფერმის მანქანაა, რომ თავმჯდომარემ თუ ყველა მანქანის მართვა ცოტათი მაინც არ იცის, მუშაობა უთუოდ გაუჭირდება. გარდა ამისა, ჩვენი დროის თავმჯდომარე საშუალო ადრონომიც უნდა იყოს, ზოოტექნიკოსიც, ვეტექიმიც, ინჟინერიც, აგროქიმიკოსიც, ირიგატორიც, ერთი სიტყვით ყოველმხრივ გათლილებული, ფართო ჰორიზონტის პიროვნება უნდა იყოს. ასეთი კაცი კოლმეურნეს ,,ეკალ-ფიურს გაუგებს და, დარწმუნებული ვარ, მას სოფელიც შეიყვარებს.

კითხვა: (ბივი მამაიაშვილს): ეს ალბათ ბევრ ადამიანს ეგონა, ოღონ ეს ასეა.

საერთაშორისო დედამიწის ზურგზე
ლენინგრადი

საკვლევისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

ფაქტები მოვლენები

3 იანვარი

მოლოდინი რწმენით

კაცობრიობამ დაიწყო ახალი, 1983 წელი. საუკუნეების დამკვიდრებული ტრადიციისამებრ მთელი მსოფლიოს ადამიანები ჰკამენენ განვლილ წელს და იმედით შესცქერიან მომავალს. საბჭოთა ხალხებისათვის განვლილი 1982 წელი სკკპ XXVI კონგრესის ისტორიული გადაწყვეტილებების შესასრულებლად აღმშენებლობითი შეჯიბრმედებითი შრომის წელი იყო. ეს გახლდათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 60 წლისთავის წელი, რომლის შექმნა არა მარტო უდიდესი ნაბიჯი იყო სოციალიზმის განვითარებაში, არამედ მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარდატეხის მომენტი გახდა.

სახელოვანი იუბილეს დღესასწაული სოციალიზმის უდიდეს მიღწევათა შთამბეჭდავ დემონსტრაციად, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, სსრ კავშირის ყველა ხალხის ურღვევი მეგობრობისა და ძმობის ზეიმად იქცა.

1982 წელმა კაპიტალისტურ სამყაროს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება მოუტანა. უმუშევრობამ ბელგიის მუშახელის თითქმის 15 პროცენტი მოიცვა, ინგლისსა და ირლანდიაში — დაახლოებით 14, ჰოლანდიაში — 11 პროცენტზე მეტი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მაჩვენებელმა 11 პროცენტს მიაღწია. სულ კაპიტალისტურ სამყაროში, შემცირებული მოხაკვებითაც კი, უმუშევართა არმია 30 მილიონს აღემატება. ახლახან გამოქვეყნდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (იკი 24 წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანას აერთიანებს) მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ 1983 წელს კრიზისის შენელების არავითარი პერსპექტივა არ არსებობს. უმუშევართა რიცხვი ამ ქვეყნებში 1983 წელს 35 მილიონს გადააჭარბებს.

მსოფლიოს ხალხებისათვის 1982 წელი საერთაშორისო მდგომარეობის გაუარესების წელი იყო, რაც, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთში მილიტარიზმის ფსიქოზით შეპყრობილ იმ დაჯგუფებათა გააქტიურებით აიხსნება, რომლებსაც სოციალიზმისადმი კლასობრივი სიძულვილი გონებას უბნევდა. იმპერიალიზმის აგრესიული წრეები განაგრძობდნენ დაძაბულობის შენელების პოლიტიკისათვის ძირის გამოთხრას, ყველა ღონეს ხმაურობდნენ, რათა სახელმწიფოები და ხალხები მტრობისა და სამხედრო მეტოქეობის გზაზე დაეყენებინათ.

ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი დაუღალავი ზრუნვა მშვიდობისათვის, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, გამალებული შეიარაღების ალგმვისათვის. ამ ბრძოლაში საბჭოთა ადამიანები მარტონი არ არიან. მათ მხარდამხარ დგანან მომძე სოციალისტური ქვეყნები, პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალები. ეს ამკარად ცხადყო იმ ფართო გამოხმაურებამ, რომელიც მსოფლიოში გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ „მსოფლიოს პარლამენტებს, მთავრობებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ხალხებს“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებამ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში. უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ამ დოკუმენტებში მსოფლიოს ხალხები ხედავენ მტკიცე მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების ასალგამავად, დაძაბულობის შენელებისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლის გაშლილ პროგრამას.

მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას იმის თაობაზე, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ბირთვული ომი, არც მცირე, არც დიდი, არც შეზღუდული, არც ტოტალური. შეგაჩეროთ ახალი ომის გამჩაღებლები — ამაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ამჟამად არ არსებობს. კატასტროფის მასშტაბს, რომელიც კაცობრიობას ემუქრება, მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ, სპეციალისტთა გამოანგარიშებით, სადღეისოდ დაგროვილი ბირთვული იარაღის მარაგი საკმარისია იმისათვის, რომ ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე მრავალჯერ მოისპოს. როგორც ეხედავთ, საღი აზრის პოზიციებიდან შეიარაღების შემდგომი ზრდა სრულიად აბსურდულია. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ გზას ადგანან რეიგანის ადმინისტრაცია და მისი ნატოელი მოკავშირენი.

მზარდი ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალ, 1983 წელს, როცა შეერთებული შტატებისა და ნატოს გეგმით დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე უნდა დაიწყოს საშუალო სიშორის ახალი ბირთვული რაკეტების განლაგება. წელსვე განზრახულია შეუდგნენ ახალი, „აცობრიობისათვის ბევრად უფრო საშიში სახეობის სტრატეგიული ბირთვული იარაღის შექმნისა და განლაგების ამერიკული პროგრამების შესრულებას. საქმე ეხება წყალქვეშა ნავების მაღალი სიზუსტის „ტრაიდენტ-2“ რაკეტებით აღჭურვას, ეგრეთ წოდებული რადიოსალოკაციო საშუალებებისათვის უხილავი ზებგერითი საკონტინენტთაშორისო ბომბდამშენის მშენებლობას, აგრეთვე „მეკმ“ ბირთვული რაკეტების წარმოებას.

ვაშინგტონის მიერ თავსმოხვეული უაღრესად სახიფათო გამალებული შეიარაღების საწინააღმდეგოდ საბჭოთა კავშირი ყველა ღონეს იხმარს პატიოსანი შეთანხმების ძიებას, რომელიც არც ერთ მხარეს არ დაუზარალებდა და ამავე დროს უზრუნველყოფდა მათი ბირთვული არსენალების შემცირებას. ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში წამოყენებულია ახალი მნიშვნელოვანი ინიციატივები ამ დარგში, რომლებსაც მსოფლიოს ყველა კუთხეში საღად მოაზროვნე ადამიანები დიდი მოწონებით შეხვდნენ. საბჭოთა კავშირი მზად არის პარიტეტულ საწყისებზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად შეამციროს სტრატეგიული შეიარაღება 25 პროცენტზე მეტად, აგრეთვე არსებითად შეამციროს ბირთვული მუხტების რაოდენობა და მაქსიმალურად შეზღუდოს ბირთვული იარაღის სრულყოფა. წამოყენებულია აგრეთვე წინადადება, რომ მოლაპარაკების პერიოდში გაყინონ ორივე მხარის სტრატეგიული არსენალები, რამაც კეთილსასურველი გავლენა უნდა მოახდინოს მოლაპარაკებაზე.

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში გაცემულია აგრეთვე ზუსტი და ნათელი პასუხი კითხვაზე, თუ როგორ აღვკვეთოთ ახალი საფრთხე, ევროპის კონტინენტს რომ ემუქრება. ამისათვის საჭიროა არ დავუშვათ დასავლეთ ევროპაში რამდენიმე ასეული ამერიკული ბირთვული რაკეტის განლაგება. უკეთესი გადაწყვეტა კი, ცხადია, ის იქნებოდა, რომ დადებულიყო შეთანხმება ევროპაში სამხედროების მოსასპობად გათვალისწინებული ყველა სახეობის, როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკურ, ბირთვულ იარაღზე უარის თქმის შესახებ. მაგრამ შეერთებულ შტატებს და ნატოს ამკარად არ სურთ შესაბამისი საბჭოთა წინადადების მიღება. შექმნილი ჩიხის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენმა ქვეყანამ ახალი ინიციატივა გამოიჩინა. საბჭოთა კავშირმა, კერძოდ, განაცხადა, რომ მზად არის ევროპაში შეინარჩუნოს მხოლოდ იმდენი რაკეტა, რამდენიც აქვთ ინგლისსა და საფრანგეთს. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი შეამცირებდა ამ რაკეტას, მათ შორის რამდენიმე ათეულ ყველაზე თანამედროვე რაკეტას, რომლებსაც დასავლეთში „სს-20“ უწოდებენ.

კონსტრუქციულ საბჭოთა წინადადებებს ფართოდ დაუჭიეს მხარი მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების მომხრეებმა. მაგრამ ვაშინგტონმა და ნატოს სხვა წამყვანმა ქვეყნებმა საბჭოთა წინადადებები, როგორც იტყვიან, ერთი ხელის მოსმით მიუღებლად გამოაცხადეს, საბჭოთა კონსტრუქციული ინიციატივების ნაჩქარეკად უარყოფა მოწმობს იმას, რომ შეერთებული შტატები და ნატო სულაც არ აპირებენ ბირთვული შეიარაღების შემცირებას. ვაშინგტონი აშკარად ცდილობს ჩიფუშოს შეთანხმება, რათა წარუმატებელი მოლაპარაკების საბაბი თავისი რაკეტები ევროპის მიწა-წყალზე განალაგოს.

ყოველივე ეს იმის საშიშროებას ქმნის, რომ მომდინარე წელი შეიძლება სამხედრო საფრთხის შემდგომი ზრდით აღინიშნოს. საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების მაგალითით შთაგონებული ჩვენი პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალები მზად არიან გააორკეცონ და გასამკეცონ ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილონ მოვლენათა ასეთი საბედისწერო განვითარება.

სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა ფართო წრეების მხარდაჭერით გულდაჯერებით იწყებენ ახალ, 1983 წელს. ისინი ყველაფერს იღონებენ ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის, რათა საკადრისი პასუხი გასცენ დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობის დამყარების მოწინააღმდეგეთ.

„საბჭოთა კავშირს სურს, — განაცხადა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ამერიკელი პოლიტიკური მიმმხილველის კითხვებზე გაცემულ პასუხში, — შეინარჩუნოს და განამტკიცოს მშვიდობა და ამისათვის ყოველ ღონეს ხმარობს, რამეთუ კარგად აქვს შეგნებული, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე თავიდან აციცილოთ ბირთვული ომის მზარდი საფრთხე, კონტროლს დავუქვემდებაროთ და შევწყვიტოთ გამალებული ბირთვული შეიარაღება“.

საკვლევის მასალებიგან მიხედვით.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

შეკვეთა შესრულდა

ბელგრადი. დიდი საბჭოთა შეკვეთი შესრულა იუგოსლავიის გაერთიანება „ენერგოინვესტმა“. მის საწარმოში ქალაქ სარაევოში დაამზადეს ორთქლის სეპარატორი, რომელიც გათვალისწინებულია ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეორე რიგისათვის. ეს აგრეგატი, რომლის წონა 280 ტონას აღწევს, გაუგზავნეს საბჭოთა შემკვეთებს.

უკვე რამდენიმე წელია საბჭოთა კავშირის საგარეოსავაჭრო ორგანიზაციებს და გაერთიანებ. „ენერგოინვესტს“ მჭ...რ ...ითან თანამშრომლობა აკავშირებთ. მაგალითად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, იუგოსლავიაში აშენდა ევროპაში უდიდესი თიხამიწის საწარმო კომპლექსი, რომლისთვისაც მოწყობილობა საწარმოს გამოუგზავნეს ლენინგრადის, სვერდლოვსკის, პეტროზავოდსკისა და პენზის საწარმოებმა.

შენახვის ხარჯები იზრდება

ტოკიო. 60 მილიარდ იენზე მეტს შეადგენს 1983 წლის საფინანსო წელს იაპონიის კუნძულებზე მყოფი ამერიკული ბაზების შენახვისათვის გაწეული ხარჯები. ეს 17,9 პროცენტით მეტია, ვიდრე მიმდინარე საფინანსო წელს, რომელიც მთავრდება 31 მარტს. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები იაპონიაში თავისუფლდება ადგილსახადებისაგან და სარგებლობს სხვა პრივილეგიებით.

მილწვევების წელი

კონაკარი. გასული წელი გვინეის რესპუბლიკის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი მილწვევებით აღინიშნა, განაცხადა ხალხისადმი საახალწლო მიმართვაში ქვეყნის პრეზიდენტმა ამჰედ სეკუტურემ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის წარმოების გადიდებას, მრეწველობისა და ენერგეტიკის შემდგომ განვითარებას, შემუშავებულია და ხორციელდება პროგრამები, რომელთა მიზანია მშრომელთა მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილება.

საერთაშორისო ასპარეზზე, ხაზგასმით აღინიშნა ა. სეკუტურემ, გვინეა მუდამ იბრძვის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ქ. ი. არეშიძე

გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რეპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, 1941 წლიდან სკკპ წევრი ქრისტეფორე იოსების ძე არეშიძე.

ქ. არეშიძე დაიბადა 1906 წლის 12 თებერვალს. სკოლის დამთავრების შემდეგ მან იწყო განაგრძო ბორის პედაგოგიურ ტექნიკუმში, 1924-1927 წლებში მუშაობდა დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. 1927 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მას ტოვებენ ორგანული ქიმიის კათედრაზე სამუშაოდ. 1936 წელი იგი ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ორგანული ქიმიის სპეციალობით.

1939 წელს ქ. არეშიძე დაუბრუნდა, მშობლიურ უნივერსიტეტს, სადაც იგი არჩეულ იქნა დოცენტად. 1940 წელს ქ. არეშიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1940 წლიდან ქ. არეშიძე მუშაობას იწყებს პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში, სადაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ნავთობის ქიმიის ლაბორატორიას, ორგანული ქიმიის განყოფილებას. 80 წელზე მეტი ქ. არეშიძე სათავეში ედგა ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული კატალიზის ლაბორატორიას.

1958 წელს ქ. არეშიძემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ზელინსკის სახელობის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1959 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ქ. არეშიძე იყო ერუდირებული, ფართო პროფილის მკვლევარი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკაში ნავთობების ბენზინური ფრაქციების ქიმიური შემადგენლობის სისტემატიურ კვლევას. მან თანამშრომლებთან ერთად ღრმად შეისწავლა ნავთობში შემავალი მსუბუქი ნახშირწყალბადების კატალიზური გარდაქმნები და ამ დარგში შექმნა სამეცნიერო სკოლა.

ქ. არეშიძის გამოკვლევების მიზანი იყო მეცნიერულად დასაბუთებული წანამძღვრების შემოშავება საქართველოს ნავთობის მრეწველობაში გამოყენებისათვის და ბენზინების ფრაქციებში შემავალი ნახშირწყალბადების მიზანსწრაფული გარდაქმნები.

ქ. არეშიძის მიერ წარმოებული მეცნიერული კვლევის შედეგები არაერთხელ ყოფილა მოხსენებული საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, საკავშირო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე ნავთობის ქიმიის, კატალიზის, მონომერების ქიმიისა და ტექნოლოგიის და სხვა დარგებში.

1961 წელს ქ. არეშიძე აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1969 წელს — ნამდვილ წევრად. 1962 წელს მან მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სამეცნიერო წოდება.

ქ. არეშიძე ორმოცდაათ წელიწადს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა.

ქ. არეშიძე ავტორია სამი მონოგრაფიის, სამასამდე სამეცნიერო ნაშრომისა და ბევრი გამოგონების.

ქ. არეშიძეს დიდი დაკვნილი მიუძღვის ეროვნული მაღალი კვალიფიცირებული მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში, ეწეოდა მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციას. ნაყოფიერ საზეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას იგი წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ბიუროს წევრი და აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ადსორბენტების სამეცნიერო საბჭოსა და მისი საქართველოს სექციის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კატალიზის სამეცნიერო საბჭოს წევრი და ამ საბჭოს საქართველოს სექციის თავმჯდომარე, ხარისხების მინიჭებელი საბჭოების წევრი და სხვა.

ქ. არეშიძის ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ჯეროვნად დააფასეს. იგი დაჯილდოვებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

გამოჩენილი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის, პრინციპული კომუნისტისა და ღირსეული მოქალაქის ქ. არეშიძის სახელი დიდხანს დარჩება ქართული საზოგადოებრიობის ხსოვნაში.

ე. ა. შეგვარდნაძე, გ. დ. გაბუნია, პ. ბ. გილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ჟოლბინი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ე. კ. ხარაძე, ა. პ. სასუქაოლიძე, ბ. ე. სარალიძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ი. ბ. ბეჟრდნიოლელ, ს. ვ. ფურმანიშვილი, ნ. ა. ლანდია, ვ. მ. ოკუჯავა, ე. ა. სეხნიაშვილი, ა. ს. ფრანგიშვილი, ბ. ნ. ჯიბლაძე, ნ. ს. ავალლოგელი, თ. ბ. ანდრონიკაშვილი, ლ. ი. გაბუა, ბ. ა. ხელაძე, ბ. ვ. ციციშვილი, ო. ი. ეჯიბაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ორგანული ქიმიის კათედრის პროფესორი, უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის ქიმიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ქრისტეფორე იოსების ძე არეშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ახალი სასწავლებელი

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრს კარგი სიახლე შეემატება — მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რაჭაში პირველი საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. ახალი სასწავლო კომპლექსი, რომელიც 600 მოსწავლისათვის არის განკუთვნილი, თანამედროვე, კეთილმოწყობილი სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსებისაგან შედგება. აქ ახალგაზრდები ეუფლებიან ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანისა და ავტომძღოლის, შემკეთებელ-ზენიკელისა და მეცხოველეობის დარგის ოპერატორის სპეციალობებს. სასწავლებლის ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია უფასო კვებით, ტანსაცმლითა და სტიპენდიით, სწავლების პროცესში შესრულებული სამუშაოსათვის ეძლევათ ფულადი ანაზღაურება.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები, საშუალო განათლების ატესტატთან ერთად, მიიღებენ ფართო პროფილის სპეციალობით მუშაობის უფლების მოწმობებს.

მოსწავლეთა სწავლების საქმეს აქ 46 მაღალკვალიფიციური პედაგოგი ემსახურება.

კომპლექსის მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოები გრძელდება. ახლო მომავალში დამთავრდება სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და საცურაო აუზის მშენებლობა.

ფოტოფაქტი

ანგოლა

რასისტთა თვითნებობა

ვითარება, რომელიც აფრიკის კონტინენტის სამხრეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთაფრიკელი რასისტების მიზეზით შეიქმნა, აღინიშნავს ანგოლის გაზეთი „ორონალ დი ანგოლა“, ამჟამად ახლო აღმოსავლეთის ვითარებას მოგაგონებთ, სადაც ისრაელმა ლიბანის ტერიტორიის ნაწილი დაიპყრო. ამ მაგალითისამებრ რასისტულმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ დაიპყრო ანგოლის კუნენეს პროვინციის ნაწილი, სადაც გეგმავს „ბუფერული სახელმწიფოს“ შექმნას, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ადგილობრივი მოღალატე და მარიონეტი.

მაგრამ მიუხედავად იმპერიალისტთა და მათი ლაქიების ცდებისა შეანელონ ანგოლის რევოლუციის პროცესი, ისინი ვერ შეძლებენ თავიანთი მიზნის მიღწევას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

სურათზე: პრეტორიის რეჟიმის ჯარისკაცები ანგოლის კუნენის პროვინციაში.

საკვლევის ფოტო.

ზეიმი

ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა

ბ. ბანძელაძე

განვითარებული სოციალიზმის ეთიკა

ფილოსოფიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა პროფესორ გელა ბანძელაძის წიგნი „ზნეობრივი პროგრესის თეორია და პრაქტიკა (70-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების შუქზე).“ როგორც ავტორი წინასიტყვაობაში წერს, ეს არის მესამე, დამამთავრებელი ნაწილი მისი მონოგრაფიისა „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და ზნეობრივი პროგრესის პრობლემა“, რომლის პირველი ორი წიგნი გამოქვეყნდა 1979-80 წლებში.

ამ წიგნებში ავტორმა წამოაყენა, საფუძვლიანად დააასაბუთა და ჩამოაყალიბა რიგი პრინციპული დებულებებისა, რომელიც ახალ კონცეფციას ქმნის ზნეობრივი პროგრესის ტრადიციული პრობლემის მარქსისტულ გადაწყვეტაში, და მონოგრაფიის ამ მესამე ნაწილში შეეცადა ეჩვენებინა, თუ როგორ ხორციელდება ეს კონცეფცია რეალურ სინამდვილეში. ავტორმა მიზნად დაისახა თეორიის შეჯერება პრაქტიკასთან და იმ სპეციფიკის ანალიზი, რომლითაც ხასიათდება ზნეობრივი პროგრესის ზოგად კანონზომიერებათა გამოვლენა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვე ვითარებაში. მეცნიერული კვლევის ასეთი კონკრეტული ლოკალიზებით ავტორი ორ მიზნს ისახავს: ერთი მხრივ, თეორიულ-მეცნიერულ — ზნეობრივი პროგრესის ზოგადი თეორიის კონკრეტული რეალიზაციის სპეციფიკის დადგენას და, მეორე მხრივ, სოციალურ-პოლიტიკურს — განვითარებული სოციალიზმის ზნეობრივი კულტურის ფორმირებისა და განმტკიცების საქმის ხელშეწყობას. ამით ავტორი ხაზს უსვამს ეთიკის მეცნიერების პრაქტიკულ-სოციალურ დანიშნულებას და მის პარტიულ-პოლიტიკურ სულისკვეთებას.

პროფესორ გელა ბანძელაძის ამ წიგნის გამოქვეყნებით გაკეთდა კიდევ ერთი საჭირო და გადაუდებელი საქმე: რესპუბლიკის ცხოვრების ამ ბოლო ათწლიან მონაკვეთში, როგორც ცნობილია, პარტიულმა და სოციალურმა პრაქტიკამ საგრძნობლად გაუსწრო წინ შესაბამის თეორიას. რესპუბლიკის იდეოლოგიური მეცნიერებანი გარკვეულ ვალში აღმოჩნდნენ ცხოვრების წინაშე. არ იყო შექმნილი იდეოლოგიური ჟღერადობის ისეთი ფილოსოფიური ნაშრომი, რომელიც ასახავდა, გაანალიზებდა და განაზოგადებდა რესპუბლიკაში მიმდინარე ამაღორძინებელ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს და ხელს შეუწყობდა ამ პროცესების შემდგომ დაჩქარებას. იდეოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურის ეს სერიოზული ხარვეზი ნაწილობრივ გამოასწორა ამ ნაშრომმა და ბევრწილად ამითაც იხსნება ის დიდი ინტერესი, მისმა გამოქვეყნებამ რომ გამოიწვია.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია წიგნის მეცნიერულ-თეორიული სიღრმე და მაღალი პროფესიული დონე, ლოგიკური სტრუქტურისა და წამოყენებულ დებულებათა მკაცრი დასაბუთებულობა. მკითხველისათვის მეტად საინტერესოა მიმდინარე ცხოვრების სოციალურ-კულტურული პროცესების ღრმა ანალიზი, მათი განმსაზღვრელი ფაქტორების რეალისტური შეფასება, სოციალური ორგანიზმის ფუნქციონირების მიზეზ-შედეგობრივი დეტერმინაციისა და მიზნობრივ-ღირებულებითი ორიენტაციის დასაბუთება.

ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ აქციას, რომელიც კი განხორციელდა რესპუბლიკა შიგ ამ ბოლო პერიოდში, წარმოაჩენს და განაზოგადებს ყოველივე დადებითს, პროგრესულს და ამასთანავე მოერიდებლად აკრიტიკებს ყოველ ნაკლს, მანკიერებას, შეცდომასა თუ დანაშაულს.

რაც შეეხება წიგნის კონკრეტულ შინაარსს, აქ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს თუ შევეხებით და თანაც მეტად ზოგადად. წიგნის შესავალში შეჯამებულია მონოგრაფიის პირველი ორი ნაწილის ძირითადი დებულებები, მოცემულია ზნეობის ცნების, მისი პროგრესის კრიტერიუმისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა დახასიათება, განსაზღვრულია კვლევის მეთოდი, აღნიშნულია სიძნელეები და მოხაზულია კვლევის როგორც სახელმძღვანელო ორიენტირები, ისე პრობლემის გადაწყვეტის საგარაუდო პერსპექტივები.

შესავალშივე ჩამოყალიბებულ პრინციპულ დებულებებს შორის ყურადღებას იმსახურებს დღევანდელ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ავტორისეული შეფასება: „დღევანდელი საქართველო — ეს არის ადრინდელი რევოლუციური ენთუზიაზმის აღორძინების, შრომითი ენერგიის ზრდის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების, დემოკრატიის გაღრმავებისა და გაფართოების გზების ძიების ერთიანი ცოცხალი შემოქმედებითი ლაბორატორია, რომლის მიღწევები პარტიული და სახელმწიფოებრივი სიბრძნის წყაროდ იქცევა“.

ავტორი ახასიათებს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული აღმავლობის სუბიექტურ ფაქტორებს და დასძენს, რომ „ჩვენი ამოცანაა, მივცეთ ამ სუბიექტური ფაქტორების ცხოველმოქმედების ობიექტური ტენდენციისა და კანონზომიერების ხასიათი. ეს არის ზნეობრივი და პოლიტიკური კულტურის საყოველთაო ამაღლებისა და დამკვიდრების, მშრომელი ხალხისა და ხელმძღვანელობის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების ამოცანა“.

ზნეობრივი პროგრესის პრობლემა წინამდებარე ნაშრომში განხილულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფონზე და მასთან მჭიდრო კავშირით. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია პერმანენტული სოციალური ფაქტორია, რაკი წარმოიშვა, მისი შეჩერება უკვე შეუძლებელია. სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი გ. ბანძელაძე, რომ „მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს ვერ შეწყვეტ ცივილიზაციისა და კულტურის მოსპობის გარეშე. ერთადერთი, რაც შეუძლია ადამიანს, და ჩვენს ეპოქაში მას ევალება კიდეც, — ესაა ამ პროცესის გონივრული მართვა და რეგულირება იმ მიზნით, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის არც ჩამორჩენით დადგეს ცივილიზაცია საფრთხის წინაშე და არც ზედმეტი განვითარებით“. ამგვარი „ოქროს შუაგული“ რომ იქნეს მიღწეული, კარგად უნდა იყოს გარკვეული ორი რამ: რას მოელის ადამიანი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისგან და რას მოითხოვს იგი ადამიანისაგან?

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ძირითადი ნიშნებისა და არსებითი პარამეტრების ანალიზის საფუძველზე პროფესორი გ. ბანძელაძე გამოყოფს სამ ძირითად ამოცანას, რომლებსაც ადამიანი მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას უსახავს: 1. მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნა; 2. ბუნების დაცვა და აღორძინება; 3. კულტურული განვითარების ობიექტური პირობების უზრუნველყოფა.

ნაშრომში ნაჩვენებია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დინამიკა საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების მაგალითთან. ზნეობრივი პროგრესის განმსაზღვრელი ფაქტორებიდან ნაშრომში განხილულია ეკონომიკის, პოლიტიკის, სამართლისა და დისციპლინის გავლენა ზნეობაზე.

მარქსისტულ-ლენინურ ეთიკაში ცნობილი და მიღებულია დებულება, რომ ეკონომიკა განსაზღვრავს ზნეობას. სოციალისტური ეკონომიკის ბუნების დახასიათებისას ავტორი წინ წამოსწევს განაწილების პრინციპს, როგორც ზნეობასთან ეკონომიკის შეხების პუნქტს.

ეკონომიკა, როგორც მატერიალური კეთილდღეობის წყარო, ადამიანის საერთო-კულტურული ზრდის გარკვეული საფუძველია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ერთმნიშვნელობიანი კავშირი მატერიალურ კეთილდღეობასა და სულიერ კულტურას შორის არ არსებობს. ავტორს უფრო ფუნდამენტურად მიაჩნია ის კანონზომიერება, რომ მატერიალური კეთილდღეობა სოციალური სამართლიანობის პირობებში ხელს უწყობს ადამიანის საერთო-კულტურულ განვითარებას.

ზნეობის მადეტერმინირებელ ფაქტორებს შორის განხილულია სამართალი და დისციპლინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დისციპლინის, მისი ფორმების ვრცელი ანალიზი, დისციპლინისა და დემოკრატიის ღირებულებითი ასპექტების წარმოჩენა. ავტორის მიხედვით, დისციპლინა მიზნისა და საშუალების ერთიანობაა. დემოკრატიაში კი ყველაფერი თვითმიზანია.

წინამდებარე ნაშრომში ზნეობრივი პროგრესის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად წარმოდგენილია იდეოლოგია, განხილულია იდეოლოგიის ცნება, არსება და სპეციფიკა. იდეოლოგია ცოდნის ისეთი სისტემაა, რომელიც ერთდროულად მოცემულია ორი ასპექტი — შემეცნებითი და აქსიოლოგიური, ბეჭმარიტებისა და ღირებულების. იდეოლოგიას აქვს, ერთი მხრივ, მეცნიერული მიუკერძოებლობის პრეტენზია, მეორე მხრივ კი, აშკარად იცავს ღირებულებითს პოზიციას, ე. ი. იცავს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის (ან ჯგუფების) ინტერესებს. ამასთან დაკავშირებით პროფესორი გ. ბანძელაძე აყენებს და თავისებურად წყვეტს მეცნიერების პარტიულობის პრობლემას.

ზნეობა განსაზღვრავს კულტურას. მეორე მხრივ, ზნეობაზე ზემოქმედებას ახ

მას ასე სწამს

მოსკოვი, მეტრო სადგურ „პროლეტარსკაიას“ მეზობლად თანამედროვე არქიტექტურის ცადატყორცნილ შენობათა რიგია. სწორედ აქ გაზლავთ ჩვენი ქვეყნის მანქანათმშენებლობის „გული“, სწორედ აქ გვეგულება ჩვენი მასპინძელიც — მანქანათმშენებლობის სამინისტროს მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის საპეცნიერო-საწარმოო გაერთიანების დაწნეხვისა და მაღალი ენერგიის გამოყენების ლაბორატორიის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ კოსტავა.

— სანამ სხვას ვიტყოდეთ, — გაიღიმა არჩილმა — ბავშვობის ერთი სურათი მინდა გავიხსენო. სულ მახსოვს, თითქოს გუშინ იყო ეს ყველფერი: ჩვენი სასიქადულო ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის ეზოში არის ამ საუკუნის გარიჟრაჟზე დადგმული ქარის ენერგიით მომუშავე დანადგარი. იგი ნიკოლაძის აზრისა და გონების პირმშოა. დანადგარი დღესაც უქმია, საცოდავად გამომშრალი და მიტოვებული. ასე მგონია, იგი მწარე საყვედურია ჩვენი საინჟინრო აზრის მიმართ...

ა. კოსტავა დაიბადა ქუთაისში. 1960 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი. დიდი პატივისცემით და სიყვარულით იგონებს თავის პედაგოგებს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს ფ. თავაძეს, თ. ლოლაძეს, წევრ-კორესპონდენტ ლ. ოკლეის. ერთხანს მუშაობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში საამქროს უფროს ტექნოლოგად, სადაც ახალ დეტალებს ითვისებდნენ. 1962 წელს ა. კოსტავა მოსკოვშია მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში ასპირანტად. 1975 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, „მაღალი წნევების გამოყენება ლითონების დეფორმირებისათვის“.

— სათანადო ენერგეტიკული ბაზის უქონლად წარმოუდგენელია ტექნიკის პროგრესი, — განაგრძობს იგი, — მსოფლიოს მასშტაბით შეიმჩნევა ტენდენცია: ერთი მხრივ, მაქსიმალურად დაზოგონ ენერგია და ენერგორესურსები, მეორე მხრივ კი გაზარდონ ელექტროენერგიის წარმოება როგორც ტრადიციული მეთოდების, ასევე ახალი წყაროების ძიებისა და გამოყენების საფუძველზე. ასეთმა ტენდენციამ ბუნებრივია, საქართველოშიც იჩინა თავი. რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ამ საჭირბოროტო საკითხის ირგვლივ აზრთა გაზიარება, ვფიქრობ, ზიანს არავის მოგვიტანს: მანქანათმშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, როგორც ენერგომანქანათმშენებლობის მეთაური ინსტიტუტი, დიდ ყურადღებას უთმობს ლითონისა და ენერგორესურსების დამზოგი პროცესების კვლევასა და მიღებული შედეგების დანერგვას დაქვემდებარებულ ქარხნებში. ასეთი ქარხნებია „ატომმანქანა“, იყორის ქარხანა და სხვა. ჩვენს ლაბორატორიას ამ მიმართულებით აღიარებული წარმატებები აქვს.

ლითონების თვისებათა შესწავლისა და პროგნოზირების ახალმა მეთოდებმა, ფიზიკოსებმა, კომპოზიციური მასალების, მაღალხარისხოვანი შენადნობების დამუშავების გამოკვლევებმა ზეწნეული და სხვა მაღალენერგეტიკული პროცესების გამოყენებით უკვე დიდი ეკონომიკური ეფექტი მისცა ჩვენს ქვეყანას და მომავალში უფრო მეტ სიკეთეს მოგვიტანს.

გამოკვლევებმა და ახლად დამუშავებულმა მეთოდებმა შესაძლებლობა მოგვცა პროცესების ოპტიმიზაციისა და მისი დაპროექტების, ავტომატიზაციის საკითხები ძირითადად გადაგვწყვიტა.

ქართველ მანქანათმშენებლებს ამ მხრივ ძალიან დიდი რეზერვები და შესაძლებლობანი აქვთ. აკადემიკოს თ. ლოლაძის ერთ ნაშრომში ეს იდეა საკმაოდ დამუშავებულია, რამაც ჩვენ ძალზე შეგვწყო ხელი. ამ მიმართულების შემდგომ განვითარება სათანადო გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელს გახდის სპეციალიზაციისა და კოოპერირების პრობლემა რესპუბლიკის მასშტაბით ახლებურად, უფრო ეფექტიანად გადაწყდეს. ჩვენს ინსტიტუტს აქვს კონტაქტები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტთან, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენი ურთიერთობა ჯერჯერობით მხოლოდ ეპიზოდურია....

დაწნეხვისა და მაღალი ენერგიის გამოყენების ლაბორატორიაში ა. კოსტავას ხელმძღვანელობით მომზადდა ათი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აქედან 3 ჩვენი თანამემამულეა. დღეს ყველანი წარმატებით იღვწიან მეცნიერების სარბიელზე. ა. კოსტავას უშუალო მონაწილეობით ამუშავდა მასალათა თვისებების გამოსაცდელი უნიკალური დანადგარი, ეს არის მეტად მაღალი წნევის მანქანა, მოკუდლობით პატარა, მაგრამ ვიწრო ზონაში ერთ კვადრატულ მილიმეტრზე დატვირთა 300 კილოგრამს აღწევს, საშუალო ნორმა კი 20 კილოგრამს არ აღემატება. დანადგარს წარმატებით იყენებენ ძნელად დნობადი ვოლფრამის, მოლიბდენის, კომპოზიციური და ფხვნილოვანი მასალების დეფორმირებისათვის. ქართველი მეცნიერის ხელმძღვანელობით ასევე შემუშავებულია მილების წარმოების პერსპექტიული ტექნოლოგია და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილია საამქროს პროექტი და მსოფლიოში უდიდესი — 45000 ტონა სიმძლავრის ექსტრუზიული წნები.

— რა დასამალია, — ამბობს ა. კოსტავა, — ზოგიერთს კიდევ ეშვი აქვს, — ვითომ ერთგვარ სფერთზეს არ შექმნისო ატომური ელექტროსადგურების ქსელი? ჩვენი ინსტიტუტი პასუხს აგებს ექსპლოატაციის დროს უსაფრთხოებისათვის, ამიტომ განვლილი პერიოდის ანალიზისა და დღევანდელი ტექნიკის და ტექნოლოგიის შეფასების საფუძველზე დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ თუ სათანადოდ მოვამზადეთ კადრები, არსებითად, გამორიცხულია რაიმე ავარიული სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა. ასევე შეიძლება ითქვას ეკოლოგიის თვალსაზრისით. ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია სათანადო სიმძლავრისა და რეჟიმორის ტიპის შერჩევა სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ბუნებასთან შეხამებით, სატრანსპორტო და სხვა სახის კომუნიკაციების გათვალისწინებით.

კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: აღდგენადი ენერგიის — მზის, ქარის, თერმულის წყლების ენერგიისა და სხვათა გამოყენების იდეა ალბათ ცხოვლიზაციის ჩასახვასთან ერთად გაჩნდა, მაგრამ მხოლოდ დღეს, როცა შესაძლებელია შეიქმნას სპეციალური კონსტრუქციები იაფი მეკანიზაციისების რეგულირებისათვის, აღდგენადი ენერგიის გამოყენების იდეა ნამდვილად ხელახლა იბადება. ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორიც არის შვეიცარია, ჰოლანდია, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, დიდ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმ გენერატორთა ეკოლოგიური სისუფთავე, რომლებიც ქარის წისქვილის პრინციპით მუშაობენ, იდეალურია.

ამერიკაში შენდება 1500 კილოვატი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგური. ანალოგიურად სამუშაოები მიმდინარეობს კანადაში. მიზანშეწონილია შეიქმნათ ასეთი ტიპის ქარის ელექტროსადგურები საქართველოს მთიან რაიონებში, რიონის და ალაზნის ველებზე და სხვა.

ასევე დიდებულ ჰორიზონტებს ფადაგვიზლის თვალწინ მზის ენერგიის გამოყენების პერსპექტივაც. ამ მიმართულებით საინტერესო მუშაობაა მოსკოვის მაღალ ტემპერატურათა ინსტიტუტში, დაღესტანში კრეინანოვსკის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტში და თურქმენეთის რესპუბლიკაში. მდიდარმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ასეთი სადგურების შექმნა მეტად ეფექტიანია. საქართველოს ბუნებრივი პირობები ზედგამოჭრილია მსგავსი ელექტროსადგურებისშესაქმნელად. უკეთესს ვერც ინატრებ — შესანიშნავი კლიმატური პირობები და რელიეფი; მაღალგანვითარებული სამეცნიერო და საინჟინრო კადრები მანქანათმშენებლობაში, ელექტრონიკასა და მართვის პროცესებში; განვითარებული მანქანათმშენებლობა; ასეთი კომპლექსით ძნელად რომ აჯობოს სხვამ ჩვენს რესპუბლიკას. თუ მზედ-ველობაში მივიღებთ ახლის ძიების ამ დიდ წყურვილს და მონდომებას, რომლითაც საბჭოთა საქართველოს დღეგანდელობა გამოირჩევა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ არის იმის რეალური შესაძლებლობა რესპუბლიკა გახდეს დიდი საქმის პიონერი საბჭოთა კავშირში და ერთ-ერთი პირველთაგანი მსოფლიოში...

ეს წერილი უკვე მზად იყო, როცა ჟურნალ „ზა რუბეჟომის“ ფურცლებზე სათაურით „რას გვიჩვენებს ქარის გენერატორთა გამოცდა“ დაისტამბა ინფორმაცია, რომ შვეიცარიაში, გოტლანდის კუნძულზე აგებულია ორი საცდელი ქარის გენერატორი, როგორც ჩანს, ამის მეოხებით შვეიცარის ეროვნული ენერგოფასელის პოტენციალი ყოველწლიურად 20 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიით გაიზრდება.

გაზეთში ამოკითხულმა ცნობამ მეც უნებურად ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ნიკო ნიკოლაძის მიერ შექმნილი ქარის ენერგიით მომუშავე დანადგარი გამახსენა, როშელიც შექმნილია ჯერ კიდევ ამ საუკუნის გარიჟრაჟზე და დღეს ყველასგან მიტოვებული და მივიწყებულია...

საქმეს ისეთი პირი უჭირს, ჩვენი სახელოვანი წინაპრის ნახელავს სიცოცხლე მალე უნდა დაუბრუნდეს; ქარის, მზის ელექტროსადგურების ენერგიით აღჭურვილი უნდა შეხვდეს მომავალ საუკუნეებს ადამიანთა მოდგმა — ასე სწამს, ასე სჯერა ქართველ მეცნიერს არჩილ კოსტავას და ამისათვის ღვწლს იგი.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
მოსკოვი.

ზამთრის სახალო არდადეგების დღეებში თბილისის სპორტის სახახლე მოსწავლეებს იწვევს მეგობრობის საახალწლო ნაძვისხეთან. ხალამი ძირითადად ეძღვნება რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ტრაქტატის 200 წლისთავს. სანახაობის დამდგმელი რეჟისორია ო. გაბელია, მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ ი. ბობოხიძეს, მხატვარია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ახკურავა. მონაწილეობენ თბილისის რკინიგზის ქორეოგრაფიული სტუდიის ansamblebi (ხელმძღვანელი — კულტურის დამსახურებული მუშაკი ვ. ლაცაბიძე), თბილისის 28-ე საშუალო სკოლის ხახელი ორკესტრი (ხელმძღვანელი — ვ. ქობულაშვილი) და ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სახახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ansamblebi (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატი ი. დვალი), ილუზიონისტი გ. ფარადაშვილი, ფილარმონიის მსახიობები, რუსთავის თეატრის მსახიობები ო. ხეთურიძე (ძველი წელი) ვ. ქობალია (ახალი წელი) (თბილისის 61-ე საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლე), მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობი ხ. ვინოგრადოვი (რუსი თოვლის პაპა).

ხურათზე: საახალწლო ნაძვისხეთან.

ვ. გენგიურის ფოტო.

გმირის ფოსტა

ცხოვრობს გუმისთაში სოციალისტური შრომის გმირი რომანოზ ჯობავა. მეტს ვეღარფერს დავამატებთ, რადგან მას რაიმე თანამდებობა არ უკავია, სადმე შტატში არ ირიცხება, რომელიმე შრომითს კოლექტივს აღარ განეკუთვნება. და ყველაფერი ეს არა იმდენად მოხუცებულობის (რა არის 78 წელი ჩვენს დროში!), რამდენადაც... „ღალატის“ გამო! ეღალატა კაცს ჯანმრთელობამ. რომანოზის თანატოლები სოფელში ცოტანი დარჩნენ, მისი დაუცხრომელი და ბობოქარი შრომის, მოყვასისადმი სიყვარულისა და კეთილშობილების მოწმენი კი უთვალავნი არიან, მათ შორის ვართ ჩვენც — გაზეთის მუშაკები.

და რა გული გვიზამდა, რაკი იმ არე-მიდამოში მოვხვდით, არ შეგვეღო მისი ჭიშკარი, არ გვენახა იგი — თავისი მყუდრო ლამაზი კოტეჯის ეზო-კარში მოფუფუსე საყვარელი მეგობარი.

მწვანედ მოხასხასე, მზით შეფერილი ეზოს სიღრმეში სამზადი სახლის წინ ჯორკოზე ჩამოძღარიყო შინაურად ჩაცმული, რაღაც საქმეში გართული ჩვენი რომა — რომანოზ დანიელის ძე. შორიახლო კიდევ რაღაც საქმით გართული ქალი ფუსფუსებდა, მეუღლე იყო. პატივცემული, ჭიშკართან რომ შეგვნიშნა, წამოდგა და ხელის მოჩრდილვით, გაკვირვებული გამოემართა ჩვენსკენ, ნეტავ, ვინ არიანო. ჩვენი გაღიმება და რომას ხელების გაშლა ერთი იყო, გულში ჩაგვიკრა, გადაგვეხვია, გადაგვკოცნა, უსიტყვოდ შინ, ოდაში შეგვიძღვა.

იქითა ოთახიდან ყმაწვილი მორცხვად მოგვესალმა, საკადრაკო დაფას რომ უჯდა, ალბათ ამოცანის გამოსაყვანად თუ დიდ მოჭადრაკეთა საინტერესო პარტიის გასაანალიზებლად.

— ეს ჩემი შვილიშვილი რომაა. ოქროს მედალთ დაამთავრა სკოლა და ახლა უმაღლესშია, — წარმოგვიდგინა ჭაბუკი. მერე კი, ოჯახში სასტუმრო ფაცი-ფუცი რომ დაიწყო, რომანოზის შვილიშვილმა საოჯახო ალბომი და კიდევ სხვა რამ საინტერესო რელიკვიები დაგვიდო გაკრიალებულ მერგვალ მაგიდაზე თავის შესაქცევად.

შესაქცევადო — იოლი სათქმელია! ამ რელიკვიებსაც ხოვ უნდა თავის გართმევა!

პირველი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო ყველასათვის ნაცნობი ხელწერა და უფრო ნაცნობი სახელ-გვარი იყო გრიფიან ქაღალდზე: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მთავარი რედაქტორი... დანარჩენს ჩვენ დავუთმატებთ: სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი-აკადემიკოსი...

„ბატონო ირაკლი! თქვენი ლექსი, დაწერილი 1942 წელს კაპიტან ბუხაიძის გმირულ მოქმედებაზე, ვინ არ იცის, ის საკვეყნოდ აღიარებული ლექსია, მე თავის დროზე ეს ლექსი ზეპირად შეგისწავლეს, მერე შვილებმა და შვილიშვილებმა სკოლაში ისწავლეს, ეს ჯერისკაცების სანუკვარი სასიმღერო ლექსია.

თქვენ, ბატონო ირაკლი, ამ ლექსის შექმნით უკვდავყავით ბუხაიძის გმირული საქმე, მისი სახელი თქვენი ლექსის მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემა, ეს ლექსი ჩვენი ახალგაზრდობის წრთობის ლექსია, ის უვითარებს მათ პატრიოტულ გრძნობას და საშობლოსათვის თავდადების იდეას...

პატივისცემით — სოციალისტური შრომის გმირი რომანოზ ჯობავა, სოხუმის რაიონი, გუმისთა, ბზიფის გზატკეცილი № 658“.

აი, კიდევ: — „საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. პატივცემულო რომანოზ! მოგახსენებთ, რომ „ყველა ცდის მიუხედავად, ვერ მივაკვლიეთ თქვენს პორტრეტს, შესრულებულს ლადო გუდიაშვილის მიერ. იგი არასოდეს არ ყოფილა არც ჩვენს მუზეუმში და არც საბჭტვრო გალერეაში. ბოლოს გადავწყვეტეთ, აქ დაცული ნეგატივიდან დაგვებეჭდა რეპროდუქცია და ამგვარად შეგვესრულებინა თქვენი თხოვნა... პატივსცემით თამაზ სანიკიძე, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი“.

მოიცათ, აგერ კიდევ, საინტერესო რამ:

„პატივცემულო რომანოზ! მადლობას მოგახსენებთ პარტიის ცხაკაიას რაიონულ კომიტეტში ამ წლის ივნისში თქვენ მიერ გამოგზავნილი გულთბილი წერილის გამო. მისი შინაარსი გამოქვეყნდა რაიონულ გაზეთ „კოლხეთის“ 29 ივლისის ნომერში, საპატიო ადგილი ეკავა ფირცხალავას, ასეთი იქნება აღსასრულამდე. მეტი განა რა მოეთხოვება ხელოვანსა და მამულიშვილს!

ბავშვობიდანვე ჩინებული სპორტსმენი იყო იგი. ყრმობისდროინდელ გატაცებებს არც დღეს დალატობს. ჯანსაღი სხეული აქვს, ჯანსაღი სული უდგას და ასეთივე ურთიერთობის დამყარება იცის ადამიანებთან. დიდთან დიდია, მცირესთან მცირე, ხუმრობის დიდოსტატიც არის და სხვისი ნაკვესის უზადო დამფასებელიც. დღე და მოსწრება იცინის და სხვასაც აცინებს. თუ მართალია, რომ სიცილი ჯანმრთელობის ერთ-ერთი პირობაა, მაშინ გიგლა თავადაც დღეგრძელია და ჩვენი ხალხის სულიერ თუ ხორციელ ჯანმრთელობაშიც უდევს წილი.

გიგლა ფირცხალავას „საქართველოს სახალხო მხატვრის“ წოდება აქვს მინიჭებული და, დიახაც რომ სახალხოა — ხალხის ცხოვრების ერთგულმწერელი, სატევარშემართული რაინდი და უერთგულესი მსახური. ერთ მხატვარს ბედნიერებისათვის სხვა რა უნდა!

ჩემი და ჩვენო გიგლავ! გილოცავ ვაკაციობისა და ჭარმაგობის მოჯნას. სამშობლო სულიერი კაპიტალის დასაბანდებლად საუკეთესო ადგილია. შენს ხალხს სიხარულად და სიკეთედ დარუნებოდეს, რაც შენი დაბანდებულიდან გერგება. ვიცი, ასეთი დალოცვა გულით გაგიხარდება. ისიც ვიცი, რომ იცოცხლებ დიდხანს, ნაყოფიერად და ისევე ღირსეულად, როგორც დღემდე მოგიტანია ქართველი კაცისა და ხელოვნის სინდის-ნამუსი.

ბუდაპეშტში ქართულ სუფრასთან

სიტყვა „ხიდი“ ქართულ და უნგრულ ენებზე ერთსა და იმავეს გამოხატავს. ეს სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, თუ აღვნიშნავთ, რომ მიმდინარე წლის ბოლოს ქართველმა და უნგრელმა მზარეულებმა მეგობრობის ხიდი გადეს ერთმანეთს შორის.

ЗЗАБУА АМИРЕДЖИБИ.

მხატვრის ბედნიერება

საქართველოში პოპულარობით გიგლა ფირცხალავასთან ბევრი ვერავინ მოვა. ვინ არის ისეთი, ვინც ინტერესით არ აღევნებდეს თვალს მის მოღვაწეობას და ვინ არ იცის, რომ იგი სახელის მაძიებელი არასოდეს ყოფილა. თავმდაბლობამ, შრომამ და ტალანტმა მოიტანა სახელიცა და აღიარებაც. ადამიანები საზოგადოებაში, ხალხში ვცხოვრობთ, გარეშო და ურთიერთობა გვაყალიბებს. ჯერ არ შექმნილა ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც იმის გამოთვლა-დადგენა შეიძლებოდეს, თუ სულიერი მოღვაწეობის რომელმა დარგმა მოახდინა მეტი ზეგავლენა თაობათა ჩამოყალიბებაზე და, მაშასადამე, სინამდვილესა და მომავალზე, ლიტერატურისა და ხელოვნების რომელი ეანრი უფრო მეტ და მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს ამ მხრივ, მაგრამ ერთი რამ არის ცხადი: ვინც თავისი სიცოცხლე და შესაძლებლობები პირუთვნელად მოახმარა ყოველივე მანკიერთან ბრძოლას და სიკეთის ქადაგებას, ვინც მუდამ ხალხის წუხილითა და სიხარულით ცხოვრობდა, მან ერს დიდი ღვაწლი დასდო. ასეთია გიგლა ფირცხალავა, ასეთი იქნება აღსასრულამდე. მეტი განა რა მოეთხოვება ხელოვანსა და მამულიშვილს!



ბავშვობიდანვე ჩინებული სპორტსმენი იყო იგი. ყრმობისდროინდელ გატაცებებს არც დღეს დალატობს. ჯანსაღი სხეული აქვს, ჯანსაღი სული უდგას და ასეთივე ურთიერთობის დამყარება იცის ადამიანებთან. დიდთან დიდია, მცირესთან მცირე, ხუმრობის დიდოსტატიც არის და სხვისი ნაკვესის უზადო დამფასებელიც. დღე და მოსწრება იცინის და სხვასაც აცინებს. თუ მართალია, რომ სიცილი ჯანმრთელობის ერთ-ერთი პირობაა, მაშინ გიგლა თავადაც დღეგრძელია და ჩვენი ხალხის სულიერ თუ ხორციელ ჯანმრთელობაშიც უდევს წილი.

გიგლა ფირცხალავას „საქართველოს სახალხო მხატვრის“ წოდება აქვს მინიჭებული და, დიახაც რომ სახალხოა — ხალხის ცხოვრების ერთგულმწერელი, სატევარშემართული რაინდი და უერთგულესი მსახური. ერთ მხატვარს ბედნიერებისათვის სხვა რა უნდა!

ჩემი და ჩვენო გიგლავ! გილოცავ ვაკაციობისა და ჭარმაგობის მოჯნას. სამშობლო სულიერი კაპიტალის დასაბანდებლად საუკეთესო ადგილია. შენს ხალხს სიხარულად და სიკეთედ დარუნებოდეს, რაც შენი დაბანდებულიდან გერგება. ვიცი, ასეთი დალოცვა გულით გაგიხარდება. ისიც ვიცი, რომ იცოცხლებ დიდხანს, ნაყოფიერად და ისევე ღირსეულად, როგორც დღემდე მოგიტანია ქართველი კაცისა და ხელოვნის სინდის-ნამუსი.



უსიტყვოდ ● გ. ფირცხალავას ალბომიდან.

სპორტული წლის კონტურები

დადგა ახალი წელი და საბჭოთა სპორტსმენებმა უკვე მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონთა „სპარტაკიადა“ 25 წლის მეკარე რენატ დასაევი 1982 წლის საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელია. ასეთია შედეგები ტრადიციული გამოკითხვისა, რომელიც ყოველკვირეულის „ფუტბოლ-ჰოკეის“ რედაქციამ მოაწყო საინფორმაციო საგენტოების, ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს 166 სპორტულ მომმხილველს შორის. მისი უპირატესობა უდავო იყო: 123 მომმხილველმა დასაევს პირველი ადგილი მიაკუთვნა. მან მოაგროვა 400 ქულა.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდისა და კიევის „დინამოს“ 23 წლის მცველმა ანატოლი დემიანენკომ, რომელიც მეორე იყო, მოაგროვა 120 ხმა. ტაშკენტის „პახტაკორის“ კაპიტანმა 32 წლის ანდრია იაკუბიკმა 117 ხმით მესამე ადგილი დაიკავა. (საკდესი).

„საბჭოთა სამართალი“ №6

გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალის **„საბჭოთა სამართლის“** მორიგი მეექვსე ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით „თავისუფალ ერთა ურღვევი კავშირი“, ნომერში დაბეჭდილია სარედაქციო წერილი „ავამაღლოთ ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი“; რუბრიკით „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის“ გამოქვეყნებულია წერილები: გ. ეფანიასი — „სსრ კავშირის შექმნისათვის ამერიკაკავკასიის კომუნისტური ბრძოლის ისტორიიდან“, ე. უგრეხელიძისა — „საქართველოს სსრ სუფერენული სახელმწიფოა“.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „შევქმნათ დამნაშავეობისთან და დარღვევებთან ბრძოლის ერთიანი ფრონტი“, „კრიმინოლოგია“, „საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა“, „სასამართლოს პრაქტიკის განზოგადება“, „კადრები — ჩვენი მუდმივი საზრუნავი“, „ჩვენი პროფესიის ადამიანები“ და სხვ.

საუკეთესო დასაევი

სსრ კავშირის ნაკრები გუნდისა და მოსკოვის „სპარტაკის“ 25 წლის მეკარე რენატ დასაევი 1982 წლის საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელია. ასეთია შედეგები ტრადიციული გამოკითხვისა, რომელიც ყოველკვირეულის „ფუტბოლ-ჰოკეის“ რედაქციამ მოაწყო საინფორმაციო საგენტოების, ცენტრალური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს 166 სპორტულ მომმხილველს შორის. მისი უპირატესობა უდავო იყო: 123 მომმხილველმა დასაევს პირველი ადგილი მიაკუთვნა. მან მოაგროვა 400 ქულა.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდისა და კიევის „დინამოს“ 23 წლის მცველმა ანატოლი დემიანენკომ, რომელიც მეორე იყო, მოაგროვა 120 ხმა. ტაშკენტის „პახტაკორის“ კაპიტანმა 32 წლის ანდრია იაკუბიკმა 117 ხმით მესამე ადგილი დაიკავა. (საკდესი).

სიახლე მეშახტეთა მომსახურებაში

ტყიბული. (საკ. კორ.). ქვანახშირის შახტებში ყოველი მორიგი სამუშაო ცვლის დამთავრებისთანავე თოთხმეტი ახალი ავტობუსი იკავებს განკუთვნილ ადგილს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. მათ დღე-ღამის მანძილზე ოთხჯერ გადაპკაცავთ მეშახტეები ათამდე შორეულ სოფელში. ამ სიახლემ, რომელიც საწარმოო გაერთიანების „საქქვანახშირის“ დირექციამ დანერგა, დიდად შეუწყო ხელი მეშახტეების მიზიდვას შახტებში. ახლა ბევრი ტყიბულელი მეშახტე სამუშაოდან თავისუფალ დროს სოფლად, თავის პირად საკარმიდამო მეურნეობაში ატარებს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

4 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — პასუხი ყმაწვილების წერილებზე. 10.30 — „ხალხური შემოქმედება“. ტელემიმოხილვა. 11.15 — დოკუმენტური ფილმი (ბაქო). 11.30 — სასკოლო არდადეგების დღეებში. ფილმ-სპექტაკლი „ციგურები“. 12.50, 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — კომკავშირი — ჩემი ცხოვრებაა. დოკუმენტური ფილმები. 16.55 — ლ. ბეთჰოვენი — კონცერტი № 2 (სი ბემოლ მაჟორი) ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 17.25 — რუსული ენა. 17.55 — სასკოლო არდადეგების დღეებში. მხატვრული ფილმი „ალისფერი სამხრეები“. მეორე სერია. 19.00 — ერთად — ერთსულოვანი ოჯახი. 19.25 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ხუთწლედი. საქმეები და ადამიანები. მონაწილეობენ აკადემიკოსი ტ. ს. მალცევი, სკკპ კურგანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. კ. კნიაზევი. 20.45 — ტელესპექტაკლი „ცოლი“ ა. ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — განვაგრძობთ საუბარს მუსიკაზე. სერგი იაკობის ძე ლემეშევი. 24.00 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.50 — პოლესიეს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „ლენოკის“ გამოსვლა. 10.30 — იცი თუ არა კანონი? 11.15 — ფილმ-კონცერტი. 11.45 — საშადრაკო სკოლა. 12.15 — ფრანგული ენა. 12.50 — „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“. მულტფილმი. 13.05 — სასკოლო არდადეგების დღეებში. მხატვრული ტელეფილმი „საქანელა“. 14.10 — ბავშვთა საგუნდო კოლექტივების კონცერტი. 14.40 — დოკუმენტური ტელეფილმი „ღია გაკვეთილი“. 15.10 — პ. ერშოვის „კუზიანი ცხენი“. კითხულობს ო. ტაბაკოვი. 16.40 — ახალი ამბები. 20.55 — ძილინებისა, პატარებო!“ 21.10 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში ახალგაზრდულ გუნდებს შორის: შვეიცარია ნაკრები — სსრ კავშირის ნაკრები. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „ისევ ანისკინი“. პირველი სერია.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“ (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იწყება ზღაპარი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — მოსწავლეთა არდადეგების გამო — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი — „ვესნუხინის ფანტაზიები“ მეორე სერია. 11.40 — „მუსიკა-82“ (გამეორებით). 13.05 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.25 — შვეისწავლეთ ინგლისური ენა. 16.55 — ლ. ბეთჰოვენი — კონცერტი № 2 სიბემოლ მაჟორი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. თორაძე და ბელორუსიის სსრ სახელმწიფო აკადემიური ორკესტრი. (მ.). 17.25 — მოსწავლეთა არდადეგების გამო. — „მუსიკალური ზღაპარი“. 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“ 18.40 — „მოძმე რესპუბლიკების საეს ტრადიციები“ — მღერის ნ. გნატიუკი. 19.10 — „პოეზია“ (ქართველი პოეტების ლექსებს კითხულობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩახავა). 19.45—„დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00—„მოამბე“. 20.30—„ეკრანზე გამჟღავნებული ოცნებები“. 21.50—სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მყინვართა მუსიკა“. 22.00 — „ვრემია“ (მ.). 22.35 — „ქართული კინოს ისტორიიდან“. მხატვრული ფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები“. 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პრემიერა“. 18.00 — მასწავლებლის საათი — მათემატიკა. 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.15 — განცხადებები. 19.20 — მხატვრული ფილმი „თვალი არ მოაშორო“.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 УЭ 09006 საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთ-ჟურნალების შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საბჭოთა კორპუსი, ხოზვრიულის 29.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.
რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/ფიზიკის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარეგისტრაციო-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99